საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

კულტურა

სტრატეგიული მიზნები

- კულტურაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა
- კულტურასა და შემოქმედებით პროცესებში საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტეგრაცია
- ხელოვანთა მხარდაჭერა და სოციალური დაცვა
- შემოქმედებითი საქმიანობის და ინდუსტრიების გაძლიერება
- სახელოვნებო განათლების განვითარება და ხელმისაწვდომობა
- ქართული კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ
- კულტურის როლისა და მნიშვნელობის გაზრდა სახელმწიფოს მდგრად განვითარებაში

კულტურული მემკვიდრეობა

- **საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა შესწავლილია და გაზრდილია სარესტავრაციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობა**

  კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია 500-მდე ძეგლზე, შესწავლილია საქართველოს ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების 75%-ის მდგომარეობა

- **შემუშავებულია და ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის სახელმწიფო გეგმა**

  შესწავლილია საზღვარგარეთ გამოვლენილი ქართული ძეგლების 55%
  და განხორციელებულია მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები

- **დანერგილია მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სახელმწიფო მექანიზმები**

  ძეგლების 100% აღირიცხება ელექტრონულ პლატფორმებზე; UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში წარდგენილი იქნება მინიმუმ 1 ნომინაცია, არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში - 5 ნომინაცია

- **შემუშავებულია სამუზეუმო საქმიანობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მართვის ერთიანი პოლიტიკა**

  საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში დაცული ექსპონატების 100% აღრიცხულია ელექტრონულ პლატფორმებზე

- **აღდგენილია და მუშაობს საქართველოს ყველაზე დიდი მუზეუმი - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, რისთვისაც დახარჯულია 70 მლნ ლარამდე**

კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლის გაზრდა ქვეყნის მდგრად განვითარებაში

- **გაზრდილია სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა და კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკონომიკური პოტენციალი**
  - სექტორის წილი ქვეყნის მშპ-ში გაიზრდება 2.8 %-დან - 3.5%-მდე
  - სექტორში დასაქმებულთა წილი საერთო დასაქმებაში გაიზრდება 5.2%-დან - 5.8%-მდე
  - კულტურული ტურიზმის წილი გაიზრდება 7.3%დან - 8%-მდე
- **რეგიონებში განვითარებულია შემოქმედებითი ინდუსტრიები და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ურბანულ განვითარებაში**



კულტურის ხელმისაწვდომობა

- უზრუნველყოფილია კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა: საზოგადოების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით კი, სოციალურად ნაკლებად დაცული ჯგუფების (შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა, იძულებით გადაადგილებული პირები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა, ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, მსჯავრდებულები და სხვ.) ჩართულობის მხარდაჭერა და ხელოვანთა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მობილობა - 8 პროგრამა* ; 20 მლნ.ლარამდე**

- მხარდაჭერილია კულტურული თვითგამოხატვის ახალი, თანამედროვე ფორმების შექმნა და ინოვაციები - 7 პროგრამა*; 5 მლნ. ლარამდე **

- * ყოველწლიურად ** ჯამურად (10წ)

- შექმნილია ხელოვანთა სოციალური დაცვის მექანიზმები

სახელოვნებო განათლების განვითარება

- **უზრუნველყოფილია სახელოვნებო განათლების ფორმალიზება, ბავშვთა და ახალგაზრდობის შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა**

დაფინანსდება 200-მდე ნიჭიერი მოსწავლისა და სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლა თუ მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებზე

- **დედაქალაქსა და რეგიონებში სრულყოფილად ფუნქციონირებენ სახელოვნებო განათლების დაწესებულებები. ხელშეწყობილია არაფორმალური განათლების ინსტიტუციები: სახელოვნებო წრეები, სტუდიები, სკოლები და სხვ.**

ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება სახელოვნებო სკოლების 100%-ის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა



- **განხორციელებულია უმაღლესი სახელოვნებო განათლების რეფორმა, განახლებულია უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

რეფორმის შედეგად 168%-ით, 28 მლნ-მდე გაიზრდება უმაღლესი სახელოვნებო განათლების დაფინანსება. 900%-ით გაიზრდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინსტრუმენტების ფონდის განახლება

- **აღდგენილია კულტურის სფეროს გამქრალი პროფესიები და უზრუნველყოფილია მოთხოვნადი პროფესიების განვითარებისა და ახალგაზრდების დასაქმებისთვის შესაბამისი უწყვეტი განათლების სისტემა**

აღდგება 30-მდე გამქრალი პროფესია კულტურის სფეროში

- **კულტურის სფეროში ხელშეწყობილია სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა - 5-მდე პროგრამა (ყოველწლიურად); სულ - 1.5 მლნ. ლარამდე (10 წ)**

კულტურის დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

ლიტერატურა

- მხარდაჭერილია სალიტერატურო და საგამომცემლო საქმიანობა
  - 11 პროგრამა*; 10 მლნ. ლარამდე**

თეატრი

- შექმნილია თანამედროვე დრამატურგიის და თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები
  - 7 პროგრამა*; 8.2 მლნ. ლარამდე**

მუსიკა

- უზრუნველყოფილია ქართული პროფესიული მუსიკალური განვითარება
  - 7 პროგრამა*; 10.7 მლნ. ლარამდე**

**ყოველწლიურად ** ჯამურად (10 წ.)*

კულტურის დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

სახვითი და თანამედროვე ხელოვნება

- **უზრუნველყოფილია ვიზუალური და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მხარდაჭერა**
  - **6 პროგრამა*; 5 მლნ. ლარამდე****

ქართული ფოლკლორი

- **უზრუნველყოფილია ქართული ფოლკლორის ხელშეწყობა**
  - **7 პროგრამა; * 5 მლნ. ლარამდე****

**ყოველწლიურად; ** ჯამურად (10 წ)*

კულტურის დარგების განვითარება და პოპულარიზაცია

ქართული კინო

- **უზრუნველყოფილია ქართული კინომემკვიდრეობის დაცვა**
  - დასრულებულია ქვეყნის გარეთ არსებულ ფილმსაცავებში არსებული ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი
  - აშენებულია თანამედროვე სტანდარტის ფილმსაცავი
  - ციფრულ ფორმატში გადატანილი და რესტავრირებულია ქართული კინომემკვიდრეობის 100 %

- **მხარდაჭერილია ქართული კინოინდუსტრიის განვითარება**

  - 6 პროგრამა*; 40 მლნ.ლარამდე**

**ყოველწლიურად; ** ჯამურად (10 წ)*

მექანიზმები მიზნების მისაღწევად

სამართლებრივი გარემოს სრულყოფა

- საკანონმდებლო ბაზა დაახლოებულია ევროპულ კანონმდებლობასთან: დამტკიცებულია მრავლისმომცველი საკანონმდებლო ნორმატიული აქტი „კულტურის კოდექსი“, რომელიც წარმოადგენს კულტურის სფეროში ერთიან, სისტემატიზებულ სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობის, პროპორციულობის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე.

- კოდექსი აერთიანებს კულტურის სფეროს ყველა დარგსა და მიმართულებას და არეგულირებს კულტურის სფეროში სახელმწიფოს, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს, მათ შორის, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობათა ძირითად პრინციპებსა და თავისებურებებს.

მექანიზმები მიზნების მისაღწევად

ინსტიტუციური მექანიზმი

- დახვეწილია კულტურის სფეროს მმართველობისა და მართვის ფორმები
- გაძლიერებულია ადგილობრივი თვითმმართველობების, როგორც კულტურის პოლიტიკის განმახორციელებელი მნიშვნელოვანი სუბიექტის როლი
- კულტურის მმართველობის სისტემაში დანერგილია დეცენტრალიზაციისა და დელეგირების (სამინისტროსა და სსიპ-ებს შორის, სამინისტროსა და შემოქმედებით კავშირებს/პროფესიულ წარმომადგენლობით ორგანიზაციებს შორის), ხარისხის უზრუნველყოფისა და ანგარიშვალდებულების თანამედროვე სტანდარტები
- შექმნილია კულტურის სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, კულტურის სფეროს ალტერნატიული (არასახელმწიფო) დაფინანსების მექანიზმები

მექანიზმები მიზნების მისაღწევად

პოლიტიკის შემუშავება

- შექმნილია კულტურის სტატისტიკის წარმოებისა და მართვის ელექტრონული სისტემები, რომელიც ქმნის ანალიტიკური დამუშავების შესაძლებლობებსა და მიზანმიმართული ინტერვენციების დაგეგმვისა და ინვესტიციების განხორციელების საფუძველს.

- დანერგილია მტკიცებულებებზე დაფუძნებული (კვლევები, სტატისტიკა) პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკა და მისი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

მექანიზმები მიზნების მისაღწევად

საერთაშორისო თანამშრომლობა - 150%-ით გაზრდილია საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო პროექტებში

- განვითარებულია კულტურული დიპლომატია და კულტურათაშორისი დიალოგი
- კულტურის სფერო მნიშვნელოვნად არის ინტეგრირებული საერთაშორისო კულტურულ და შემოქმედებით სივრცეში
- საქართველო წარმოადგენს კულტურისა და შემოქმედების რეგიონულ ცენტრს

მექანიზმები მიზნების მისაღწევად

კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარება - 200 მღნ. ლარამდე

- შექმნილი და განვითარებულია შემოქმედებითი საქმიანობის ხელშემწყობი ფიზიკური და ციფრული სივრცეები, რომელიც, ასევე, ითვალისწინებს სხვადასხვა პირთა სპეციალურ საჭიროებებს
- განახლებულია შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა
- დანერგილია თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები. შექმნილია კულტურის „მწვანე“, ყველასთვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა და შემოქმედებითი გარემო

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სპორტი და ახალგაზრდობა

განათლების სისტემა სპორტში

- საქართველოში გამართულად ფუნქციონირებს სასპორტო განათლების სისტემა, რომელიც სპორტის თითოეული სახეობისათვის ამზადებს კვალიფიციურ კადრებს - მწვრთნელებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტებს. სპორტის განვითარების სტრატეგიის საფუძველზე დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, წინასწარაა განსაზღვრული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს სხვა სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც დარგის განვითარებისათვისაა საჭირო.

- უმაღლესი და პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები (სპორტის უნივერსიტეტი და კოლეჯი) აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო, საწვრთნელი და სამეცნიერო ინფრასტრუქტურით. პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება 30 მილიონი ლარია, საიდანაც 10 მილიონამდე ლარის ინვესტიცია კერძო სექტორმა განახორციელა.

- სპორტის სფეროში დანერგილია სამწვრთნელო და სხვა ტიპის საქმიანობის სერტიფიცირების სისტემა.

სპორტული აკადემიები, პროფესიონალი სპორტსმენების ალზრდა

- საქართველოს ყველა რეგიონში არსებობს მრავალპროფილური სპორტული აკადემია, სპორტის ძირითად სახეობებში (ჭიდაობა, ძიუდო, მძლეოსნობა, ძალოსნობა, კალათბურთი, ცურვა, ფეხბურთი, რაგბი და სხვა) სრულყოფილი წვრთნისა და ვარჯიშის შესაძლებლობებით.

- სპორტის აკადემიებს აქვთ სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენების უპირატესი უფლება.

- სპორტის აკადემიაში სასწავლო-საწვრთნელ ინფრასტრუქტურასთან ერთად ინტეგრირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახალგაზრდა სპორტსმენების სწავლისა და სპორტული მომზადების პროცესის ოპტიმალურად წარმართვის მიზნით.

- თითოეული სპორტული აკადემია მოიცავს საბაზისო საჭიროებებისათვის აუცილებელ, სტანდარტების შესაბამის თანამედროვე სპორტული მედიცინის ცენტრს.

სპორტული მედიცინა

- საქართველოში ფუნქციონირებს სულ მცირე 3 სპეციალიზირებული, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება, რომლებიც უზრუნველყოფენ სპორტსმენების ტრავმის შემდგომ სწრაფ და სრულყოფილ რეაბილიტაციას.

- სამედიცინო ცენტრების ბაზაზე, ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ისეთი ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის ე.წ. გენეტიკური ანალიზის (Genetic influence on athletic performance) კუნთის ქსოვილის შესწავლისა და სხვა ტიპის სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება, რაც საუკეთესო საშუალებაა სპორტსმენისათვის წარმატებული კარიერის დასაგეგმად.

სპორტული ინფრასტრუქტურა

- საქართველოს ყველა რეგიონში ფუნქციონირებს თანამედროვე, სპორტსმენის საჭიროებებზე მორგებული სულ მცირე 1 სპორტული მულტიფუნქციური კომპლექსი, სპორტის ძირითადი სახეობების განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

- დამატებით, ბაკურიანში ფუნქციონირებს 2025 წლის ევროპის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისათვის აშენებული სპორტული კომპლექსი, სპორტის სხვა ძირითადი სახეობების სასწავლო-საწვრთნელი, სამედიცინო და სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურით.

- სპორტული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია სპორტის სხვადასხვა სახეობების მხრიდან ხორციელდება კოორდინირებულად და ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

- ქვეყნის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დახარჯულია 300 მილიონი ლარი.



სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება

- ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში შეტანილია ფიზიკური აღზრდის ელემენტები.
- ქვეყანაში მოქმედებს კლასგარეშე და სასკოლო კლუბების სისტემა.
- მოქმედებს სტუდენტური საუნივერსიტეტო ლიგების სისტემა.
- ყოველწლიურად იმართება ახალგაზრდული ეროვნული თამაშები სხვადასხვა სახეობაში.
- მოქმედებს ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების აღმოჩენის, შერჩევისა და მათი სპორტული განვითარების მექანიზმები

სპორტული ფედერაციების დაფინანსების წესი

- შემუშავებულია და გამართულად მოქმედებს სპორტული ფედერაციების დაფინანსების ახალი წესი, რომელიც სპორტში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს ეყრდნობა და მიზნად ისახავს კორუფციის რისკების შემცირებას, ფედერაციებში არასპორტულ პოზიციებზე კვალიფიციური კადრების დასაქმებას, სპორტსმენებს შორის თანხების სამართლიანად გადანაწილებას მათი განვითარების ინტერესიდან გამომდინარე.

- ფედერაციის ბიუჯეტის დასაგეგმად სპეციალური სისტემაა შექმნილი, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა, სამართლიან და ლეგიტიმურ კრიტერიუმს ეფუძნება.

სპორტი ყველასათვის

- შემუშავებულია და ხორციელდება მასობრივი სპორტის სამდონიანი (სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო) პოლიტიკა.
- განსაკუთრებული ზრუნვის საგანია პარასპორტის განვითარება და შშმ პირების სპორტულ აქტივობებში ჩართვა.
- გაზრდილია მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სპორტულ ინფრასტრუქტურაზე.
- მოყვარულ სპორტსმენთა შორის ყოველწლიურად ტარდება ეროვნული თამაშობები და სხვა სპორტული შეჯიბრებები.

სპორტული ტურიზმი და საერთაშორისო ტურნირები

- საქართველოში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს მართავენ უცხოელი სპორტსმენები და სხვადასხვა ქვეყნის ასაკობრივი და ეროვნული ნაკრები გუნდები

- გაორმაგებულია ქვეყანაში გამართული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისა და უცხოელი ქომაგების დასწრების მაჩვენებლები.



საკანონმდებლო ბაზა

- სპორტის სფეროში საქმიანობა რეგულირდება თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული საკანონმდებლო ნორმებით (წესდებები, დებულებები, კანონები და სხვა).
- შექმნილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული არბიტრაჟი.
- მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის მქონე ბიზნესიდან სპორტის ფონდში თანხების მოზიდვის სისტემა.
- დანერგილია და ეფექტიანად მუშაობს სპორტული ეთიკის სტანდარტი.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების შედეგები

- გაზრდილია სპორტზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი და ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ ნახევარი დაკავებულია ფიზიკური აქტივობით.
- შემცირებულია აზარტულ თამაშებზე, ნარკოტიკსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულთა რაოდენობა.
- სპორტი ასრულებს დანაშაულის პრევენციის როლს და ახალგაზრდებში შემცირებულია კრიმინალის მაჩვენებელი.

ძირითადი მაჩვენებლები

	2020-2021	2025	2030
რეგულარულ ფიზიკურ აქტივობებში ჩართული პირები	22%	30%	50%
სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი	4%	6%	8%
სპორტსმენთა რაოდენობა	180,000	270,000	360,000
ადგილი ზაფხულის ოლიმპიადაზე ერთ სულ მოსახლეზე მოპოვებული მედლების რაოდენობით	VIII (2016 წელი)	VII (2024 წელი)	V (2028 წელი)
საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	10 (2019 წელი)	15	20
რეგიონების რაოდენობა, სადაც აშენდება ახალი მულტისპორტული კომპლექსი სპორტის ძირითადი სახეობებისთვის	4	7	10
მედლების რაოდენობა საერთაშორისო ღონისძიებებზე	1,258 (2019 წ.)	1,500	1,800

ახალგაზრდობის პოლიტიკა

- შექმნილია და წარმატებით ხორციელდება ახალგაზრდობის განვითარების პოლიტიკა.
- ახალგაზრდული სტრატეგია ითვალისწინებს ახალგაზრდობის, როგორც ქვეყნისათვის ყველაზე დიდი განახლებადი რესურსის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს აღმშენებლობას.
- ქვეყანაში გამართულად ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების სისტემა.
- რეფორმირებულია ადგილობრივი სახელოვნებო და სხვა ტიპის ახალგაზრდული ცენტრები.

ახალგაზრდული ბანაკები

- სვანეთში, ზემო აჭარაში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში აშენებულია 4 ახალი ახალგაზრდული ბანაკი.
- განახლებულია შაორისა და ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკები.
- ახალგაზრდული ბანაკები ყოველწლიურად მთელი ქვეყნის მასშტაბით 15,000 მონაწილეს მასპინძლობს.
- ახალგაზრდული ბანაკები დასვენებისა და გართობის გარდა, არაფორმალური განათლებისა და სახელმწიფოსათვის სტრატეგიულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ფუნქციას ასრულებს.



ახალგაზრდების მხარდაჭერა

- ყოველწლიურად იმართება სასკოლო და საუნივერსიტეტო კონკურსები ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკისა თუ ხელოვნების სხვა დარგში პერსპექტიული ახალგაზრდების გამოსავლენად.
- სასკოლო და საუნივერსიტეტო კონკურსების თემატიკა მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა: ქვეყანაში მიმდინარე ოკუპაცია, ევროინტეგრაცია, გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, დანაშაულის პრევენცია და სხვა.
- დანერგილია ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების სისტემა, რომლის ყოველწლიური ბიუჯეტი 5 მლნ ლარს შეადგენს.

საქართველოს
მთავრობა

მაღლობა ყურადღებისთვის